მოგილოცავთ 8 მარტს, ძვირფასო ქალებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 57 (12569) | პარასკევი, 8 მარტი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო

ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი ადამ მალიქი

6 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა მიიღო ინდონეზიის რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ა. მალიქი მისი თხოვნით.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ელჩ ა. მალიქს შორის გაიმართა მეგობრული საუბარი.

მეგობრობის ვითარებაში

სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა

მოსკოვში 2-დან 6 მარტამდე მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის კომისიის მეცხრე სესია. 6 მარტს საზღვარგარეთის ქვეყნების ხალხებთან მეგობრობის სახლის კონფერენცდარბაზში ხელი მოაწერეს სესიის ოქმს.

საბჭოთა კავშირის მხრივ ოქმს ხელი მოაწერა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის კომისიის საბჭოთა ნაწილის თავმჯდომარემ პ. ა. კოლომიეცევმა, იუგოსლავიის მხრივ — კომისიის იუგოსლავიის ნაწილის თავმჯდომარემ იოსიპ ზმაიჩმა.

ოქმის ხელის მოწერას დაესწრნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ცვეტინ მიატოვიჩი და საელჩოს თანამშრომლები.

სესიის მიღებულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1963 წელს ორივე მხარე გადასცემს ერთმანეთს სხვადასხვა ტექნიკურ დოკუმენტაციას, აგრეთვე მიავლენენ თავიანთ სპეციალისტებს, რათა გაეცნონ მოწინავე საწარმოო გამოცდილებას და მეცნიერულ-ტექნიკურ მიღწევებს ამ ორი სახელმწიფოს სახალხო მეურნეობის აქტუალურ საკითხებში.

სესიის მუშაობა მიმდინარეობდა მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების სულისკვეთებით. (საკრესი).

ხალხის ერთსულოვნება

ამომრჩეველთა შეხვედრები დეპუტატობის კანდიდატებთან

გურჯაანი. საზეიმოდ მორთულ რაიონული კულტურის სახლში შეიკრიბნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების № 168. საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები, რათა შეხვედროდნენ დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანს **დიმიტრი სიმონოს-ძე ზემლიანსკის.**

ამომრჩეველთა კრება გახსნა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ **ნ. ჯოხაძემ.**

სიტყვა აიღო ნდობით აღჭურვილმა პირმა, ვეჯინის საშუალო სკოლის მასწავლებელმა, რუსუდან ტორიაშვილმა. მან გააცნო დამსწრეთ დეპუტატობის კანდიდატის დ. ს. ზემლიანსკის ბიოგრაფია და დაწერილებით მოუთხრო მათ მის საქმიანობაზე.

— ჩვენი კანდიდატი, — თქვა ტორიაშვილმა, — გამოცდილი პარტიული მუშაკია. 1929 წლიდან მუშაობს ხელმძღვანელ კომკავშირულ და პარტიულ საშუშაოზე და მუდამ ამაორლებს პარტიისა და ხალხის ნდობას. დ. ზემლიანსკი ჩვენ წამოვაყენეთ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად იმ ღრმა რწმენით, რომ იგი ამჯერადაც გაამართლებს ჩვენს ნდობას.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიან ვეჯინის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. იმერლიშვილი, ბაკურიანის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სტუდენტი ნ. ჯადუგიშვილი, ჯანდრის რვაწლიანი სკოლის მასწავლებელი ე. მელითაური, ვეჯინის საშუალო სკოლის მოსწავლე ნ. მუხოლიშვილი.

ამომრჩევლები გულთბილად შეხვდნენ დეპუტატობის კანდიდატს დ. ს. ზემლიანსკის გამოსვლას. მან მხურვალე მადლობა გადაუხადა კრების მონაწილეებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს ამომრჩეველთა ნდობას.

რუსთავი. მეტალურგიული ქარხნის ბრძმედის ოსტატი, სოციალისტური შრომის გმირი არჩილ ვასილის-ძე ძამაშვილი გუშინ მეტალურგთა კულტურის სასახლეში შეხვდა ლენინის № 150 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, რომლებმაც იგი დაასახელეს ამ ოლქში რესპუბლიკის პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად.

შეხვედრაზე გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს ა. ძამაშვილის შესანიშნავ შრომით გზაზე. ბრიგადამ, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს, სამი წლის განავლობაში შეასრულა თავისი შვიდი წლის დავალება. ძამაშვილი არა მარტო მოწინავე მუშაკია, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც არის.

ელექტროტექნიკისა და მანქანათმშენებლობის საპროექტო-ტექნოლოგიურ სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გაიმართა **საბჭოს № 31** საარჩევნო ოლქის მშრომელთა შეხვედრა თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკის მკერავთან პოლინა ნიკოლოზის ასულ ბოგდანოვასთან, რომელიც კენჭს იყრის ამ ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე.

საჩხერის რაიონის სოფელ ლიჩის, კორპოლოსა და ჭალოვანის მშრომელება შეხვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს სოფელ ლიჩის კოლმეურნეობის მწველავს ეთერ ვლადიმერის ასულ ხარაიშვილს, რომელიც კენჭს იყრის კორბოლოს № 223 საარჩევნო ოლქში. (საქდესი).



ნახატი ი. ქოქიაშვილისა.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

გროშურად გამოვიდა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

კოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გროშურად გამოიშვა ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ქალაქ მოსკოვის კალინინის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა კრებაზე, რომელიც წარმოთქვა 1963 წლის 27 თებერვალს.

გროშურა გამოცემულია მასობრივი ტირაჟით. (საკდესი).

სომხეთის სოფლის მეურნეოგის მოწინავეთა თათბირი

ერევანი, 5 მარტი. (საკდესის კორ.). დღეს აქ გაიმართა სომხეთის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირი. თათბირის მონაწილეებმა ახალი ვალდებულებანი იკისრეს.

სომხეთის სოფლის მეურნეობის მუშაკებმა მხურვალედ დაუჭირეს მხარი ყუბანელ მხვნელ-მთესველთა და უზბეკეთის იანგიიულის საწარმოო სამმართველოს მშრომელთა პატრიოტულ ინიციატივას.

სომხეთის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების „შეტურებმა" გაღლდებულებაში ჩაწერეს, რომ სიხარულით იღებენ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევას, რომელიც მათ საქართველოსა და აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა შესთავაზეს და პირობას დებენ ყველაფერი გაკეთონ, რათა ღირსეულად შეასრულონ ამოცანები, რომლებიც სოფლის მეურნეობას დაუსახეს პარტიის XXII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 1963 წლის 6 მარტს მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ამხანაგი ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე დიბაი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

საბჭოთა ქალებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტის გამო

ძვირფასო ამხანაგო ქალებო!
საბჭოთა ხალხის სასახელო შვილებო!
ჩვენი დედებო, ცოლებო და დებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ მოგესალმებათ და გულითადად გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს, ხალხთა თავისუფლების თანასწორუფლებიანობის, მშვიდობის, მეგობრობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლაში ყველა ქვეყნის მშრომელ ქალთა ერთიანობისა და სოლიდარობის დღეს.

ჩვენს ქვეყანაში ტრადიციად იქცა — შევხვდეთ რვა მარტს როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს. ამ ღირსსახსოვარ დღეს საბჭოთა ხალხი აღნიშნავს მზარდი საწარმოო და პოლიტიკური აღმავლობის ვითარებაში. დიადი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდის ახალ-ახალი ცნობები იმ შრომითი გმირჯვნებების შესახებ, რასაც აღწევენ ქალაქისა და სოფლის ქალები და მამაკაცები, რომლებიც კომუნისტური მშენებლობის დიად პროგრამას ახორციელებენ. საბჭოთა ხალხმა სკკპ XXII ყრილობის გადწყვეტილებანი მიიღო როგორც თავისი ღვიძლი საქმე, როგორც თავისი ცხოვრების მიზანი.

შრომითს ყოველდღიურობაში ხორციელდება დიადი საქმე: იქმნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ყალიბდება კომუნისტური საზოგადოებრივი ურთიერთობა, იზრდება ახალი ადამიანი.

საბჭოთა ქალებს დიდი წვლილი შეაქვთ კომუნისტური მშენებლობის საქმეში. ისინი აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, ენთუზიაზმით შრომობენ სახალხო მეურნეობაში, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და მოზარდი თაობის აღზრდის სარბიელზე. სამშობლოს კეთილდღეობას რომ ახმარს მთელ თავის შემოქმედებითს ენერგიას, საბჭოთა ქალი ყოველმხრივ ვითარდება, იდეურად იზრდება, სულიერად მდიდრდება.

სოციალიზმის სამყაროში არ არის ქალთა და მამაკაცთა უფლებრივი უთანასწორობა. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოსპო ქალთა ჩაგვრის სოციალური ფესვები, მიანიჭა მათ განუსაზღვრელი შესაძლებლობანი ნიჭისა და უნარის განვითარებისათვის, ნათელი, სრულფასოვანი ცხოვრებისათვის, მთელ მსოფლიოს უჩვენა ქალთა საკითხის გადაჭრის ნიშული.

კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა კომუნიზმისათვის შეგნებულ მებრძოლ ქალთა თაობები.

ყველაფრით, რასაც მიაღწია ჩვენმა სოციალისტურმა სამშობლომ, ჩვენი ქვეყნის ცხოვრების მაჯისცემით ვლინდება ქალთა შეიარაღებული შრომა. ჩაუფიქრდით, ამხანაგებო, ასეთ ციფრებს: მუშათა და მოსამსახურეთა შორის 48 პროცენტს ქალები შეადგენენ, სოფლის მშრომელთა ნახევარზე მეტი ქალები არიან. იმის შეგნება, რომ უდიდესი წვლილი შეაქვს საყოველთაო-სახალხო საქმეში, საბჭოთა ქალს აღავსებს დიდი სიამაყისა და ბედნიერების გრძნობით.

საზოგადოების სასარგებლოდ, კომუნიზმისათვის შრომა სიხარულისა და შთაგონების წყაროა, ქალების სულიერ შესაძლებლობათა გაფურჩქნის საფუძველია.

სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია დაახლოებით ექვსი მილიონი ქალი — უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტები. ექიმთა 74 პროცენტი და მასწავლებელთა 70 პროცენტი ქალები არიან. საბჭოთა კავშირში 31 ათასზე მეტი ქალი პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატია.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ოცნებობდა იმაზე, რომ თვითეულ ქალს მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოს საქმეთა მართვაში. ახლა საბჭოთა ქალს ვხედავთ სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანოში — სასოფლო საბჭოდან დაწყებული სსრ კავშირის უმაღლეს საბჭომდე. საკმარისია თქვას, რომ 390 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია — გაცილებით მეტი, ვიდრე ყველა კაპიტალისტური ქვეყნის პარლამენტებში ერთად. ასეთ ათასობით ქალი წარმოდგენილია მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებში. მილიონობით მშრომელი ქალი აქტიურად მუშაობს პარტიულ, პროფკავშირულ, კოოპერაციულ, კომკავშირულ ორგანიზაციებში, მასობრივ ნებაყოფლობითს კავშირებსა და საზოგადოებებში.

ყოველივე ეს შთამბეჭდავი სურათია იმისა, თუ როგორ გაიზარდა, ამაღლდა ქალი კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის ეპოქაში!

საბჭოთა ქალს ვერ წარმოუდგენია თავისი ცხოვრება ისე, რომ საზოგადოებრივ შრომაში არ მონაწილეობდეს და სამშობლოც ჯერ ოვანი პატივისცემით ეკიდება სახელოვან პატრიოტებს. მილიონზე მეტი ქალი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, 76 ქალს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 2.879 ქალი სოციალისტური შრომის გმირი გახდა, აქედან 24 დაჯილდოებულია „ნამგალი და ეროსა" მეორე ოქროს მედლით.

ქალი გარეშოსილია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის მუდმივი ყურადღებითა და ზრუნვით. უკანასკნელ ექვს წელიწადში ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უკვე მესამედი ნაწილი გადავიდა ახალ კეთილმოწყობილ ბინებში და გაიუმჯობესა საბინაო პირობები. მსოფლიოში არსად არ არის დედისა და ბავშვის დაცვისათვის სპეციალურად გათვალისწინებული ამდენი დაწესებულება. ჩვენს ქვეყანაში ექვს მილიონზე მეტი მოზარდი სბავშვო ბაღებსა და ბაგების ქსაყოფაზეა. სკოლა-ინტერნატებში, გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში ახლა ორ მილიონზე მეტი ბავშვი იზრდება. მრავალშვილიანი დედები ჯილდოვდებიან ორდენებითა და მედლებით, იღებენ სახელმწიფო დახმარებას. მილიონობით ქალი დაჯილდოებულია „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის მედლებით"; 73 ათას ქალს მიენიჭა „გმირი დედის" საპატიო წოდება.

წარმატებით რომ ახორციელებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას, ჩვენი ხალხი მთელ მსოფლიოს უჩვენებს ადამიანის მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრული დაკმაყოფილების მაგალითს, რაც უფრო მივუახლოვდებით სანუკვარ მიზანს — კომუნიზმს, მით უფრო გაუმჯობესდება ქალის ცხოვრება, უფრო მრავალმხრივ გაიფურჩქნება მისი სულიერი, ზნეობრივი და ფიზიკური სილამაზე.

სკკპ პროგრამაში დასახულია ამოცანა აღმოვფხვრათ ყოფაცხოვრებაში ქალის უთანასწორო მდგომარეობის ნაშთები, გავათავისუფლოთ იგი საოჯახო მეურნეობის ტვირთისაგან. პროგრამის დებულებები და ლენინური მითითება, რომ საჭიროა გავათავისუფლოთ ქალი გონებადამაჩლუნგებელი და დამამცირებელი მიჯაჭვისაგან სამზარეულოზე, ბევრ რამეს ავალებს პარტიულ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და სახელმწიფო ორგანოებს. ისინი მოვალენი არიან მთელი ძალღონე მოახმარონ იმას, რომ კიდევ უფრო გაუადვილონ შრომა ჩვენს დედებსა და დიასახლისებს. შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მნიშვნელოვნად გადიდდეს სასადილოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების, სბავშვო ბაღებისა და ბაგების რაოდენობა. უნდა ვიბრძოლოთ იმისათვის, რომ დროზე შესრულდეს მათი მშენებლობის გეგმები. საჭიროა მოეწყოს საზოგადოებრივი მოძრაობა სკოლების, კლუბების, სკოლამდელი საბავშვო დაწესებულებებისათვის დასახმარებლად, მოგვარდეს კონტროლი სავაჭრო ქსელის, სარეცხაოების, სასადილოების, სხვადასხვა სახელოსნოების მუშაობისადმი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი იმედოვნებს, რომ საყოფაცხოვრებო მომსახურების ყველა უბნის ზუსტი მუშაობის მოწესრიგებაში აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი გულსხმიერი და ენერგიული ქალებიც.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ, პროფკავშირულ ორგანიზაციებს, საწარმოების, ქარხნების, მშენებლობების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს არ შეასუსტონ ყურადღება ხელმძღვანელ სამუშაოზე ქალების დაწინაურებისადმი. ქალთა და მამაკაცთა თანასწორი უფლებრივი მდგომარეობა როდი ათავისუფლებს სამეურნეო ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციებს იმისაგან, რომ დაუცხრომლად იზრუნონ მუშა და კოლმეურნე ქალების შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის, რომ კვლავაც საჭიროა აძლიონ მათ შედარებით უფრო ადვილი და ამავე დროს საკმაოდ ანაზღაურებული სამუშაო. წარმოების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობაში ახალი მანქანების ფართოდ დანერგვა საშუალებას გვაძლევს წარმატებით განვახორციელოთ ეს ამოცანა.

ჩვენს ცხოვრებაში სულ უფრო მკვიდრდება კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსის პრინციპები. მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ ძლიერია ძველის გადმონაშთები. არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი მამაკაცი ფეოდალ-ბაის მსგავსად ეპყრობა, აბუჩად იგდებს ქალს. პარტიული ორგანიზაციები და სახელმწიფო ორგანოები შეურიგებელად უნდა ეკიდებოდნენ ქალის ღირსების შეურაცხყოფის, მისი დედობრივი მოვალეობის უპატივცემლობის თვითეულ შემთხვევას, სწავლისადმი, საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობისადმი მისი მისწრაფების შეზღუდვას.

ცენტრალური კომიტეტი მიმართავს დედებს: შვილები, რომლებსაც თქვენ ზრდით, კომუნისტურ საზოგადოებაში იცხოვრებენ. აღზარდეთ თქვენი შვილები კომუნიზმის საქმისადმი, ერთგულ, პატიოსან, შეგნებულ, შრომისმოყვარე მოქალაქეებად. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს მგზნებარე პატრიოტებად.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის მშვიდობა გვესაჭიროება. საბჭოთა მთავრობა ყოველ ღონეს ხმარობს, რათა იმპერიალისტებმა ვერ ატეხონ ომი. სკკპ ცენტრალური კომიტეტი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მშვიდობისათვის ბრძოლის ავანგარდში არიან საბჭოთა ქალები. ისინი მხურვალედ უჭერენ მხარს ყველა ხალხის მშვიდობიანი თანაარსებობის, მეგობრობისა და თანამშრომლობის ლენინურ პოლიტიკას, რასაც საბჭოთა მთავრობა ახორციელებს.

მაგრამ, მიუხედავად მთელი ჩვენი მეცადინეობისა, იმპერიალისტური სახელმწიფოები ყოველნაირად უშლიან ხელს განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევას, განაგრძობენ გამალებულ შეიარაღებას. ეს ავალებს საბჭოთა ადამიანებს იყონ ფხიზლად და ყველაფერი გაკეთონ საბჭოთა სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერების განმტკიცებისათვის. დაე ახსოვდეთ მშვიდობის მტრებს გაკვეთილები დიდი სამამულო ომისა, როცა გმირმა საბჭოთა ხალხმა გაანადგურა და მოსპო ჰიტლერელი დამპყრობლები. მაშინ თავიანთ ქმრებთან და ძმებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ სახელოვანნი საბჭოთა ქალები. იცავენ რა მშვიდობის საქმეს, საბჭოთა ქალები ახლაც მზად არიან მოიხადონ თავიანთი პატრიოტული ვალი.

საბჭოთა ქალები, ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგულნი, სოლიდარობას უცხადებენ თავიანთ საზღვარგარეთელ დებს, რომლებიც აშენებენ ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან თავისუფალ ახალ ცხოვრებას და მიდიან სოციალიზმის გზით. მათ ახარებს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების ყოველი წარმატება და იცავენ, რომ ახლოა ის დღე, როცა კოლონიალიზმის ნაშთები საბოლოოდ აღიგვება პირისაგან მიწისა. მათ მტკიცედ სჯერათ, რომ მშრომელთა საერთო მეცადინეობით დედამიწაზე დამკვიდრდება ყველა ხალხთა მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება.

საბჭოთა ქალებს დიდ პატივად მიაჩნიათ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის გადაწყვეტილება, რომ ქალთა მსოფლიო კონგრესი 1963 წლის ივნისში გაიმართოს ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, რომელიც ყველა ხალხისათვის გადაიქცა მშვიდობის, მეგობრობისა და სოციალური პროგრესის სიმბოლოდ.

ჩვენო ძვირფასო ქალებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს და გამოთქვამს რწმენას, რომ კვლავაც იქნებით კომუნიზმის მშენებელთა პირველ რიგებში, ბეჯითად იხარჯნით, იმუშავებთ და იცხოვრებთ კომუნისტურად.

გაუმარჯოს ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს!
გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშრომელ ქალებს!
პატივი და დიდება საბჭოთა ქალებს, კომუნისტური საზოგადოების დაუცხრომელ მშენებლებს!
გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ნაცად ბელადს, ადამიანის ბედნიერების გამარჯვებისათვის მებრძოლთა ავანგარდს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი

ლ. ტოლსტოის ძეგლის პროექტის განხილვა

მოსკოვი, 5 მარტი. (საკდესის კორ.). მოსკოვში, დევიჩიე პოლეს ბაღში, დაიდგმება დიდი რუსი მწერლის ლ. ნ. ტოლსტოის ძეგლი. ამ მონუმენტის შესაქმნელად 1959 წელს მთელი რიგი კონკურსები გაიმართა. კონკურსში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხის 70-ზე მეტმა მოქანდაკემ.

დღეს სსრ კავშირის მხატვართა კავშირის საკავშიროო დარბაზში განიხილეს ოთხი მოდელი, რომელიც მოწონებულია დასკვნის ტურში განსახილველად. ამ ნაწარმოებთა ავტორები არიან მოქანდაკე ვ. ბუიაკინი და არქიტექტორი ა. კოლჩინი, მოქანდაკე ა. პორტიანკა, არქიტექტორები ვ. ბოგდანოვი და ვ. სოკოლოვი, მოქანდაკეები პ. იზმალკოვი, დ. ცაპილინი.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვება

კვირას, 1963 წლის 3 მარტს რუსეთის ფედერაციაში, უკრაინის, ბელორუსიის, უზბეკეთის, ყაზახეთის, მოლდავეთის, ლატვიის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის მოკავშირე რესპუბლიკებში გაიმართა უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნები.

ყველგან კენჭისყრა დაიწყო დილის 6 საათზე და დამთავრდა ღამის 12 საათზე ადგილობრივი დროით.

როგორც წინა წლებში, ახლანდელი არჩევნებიც მიმდინარეობდა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, პარტიის XXII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ნიშნით.

არჩევნების შედეგებმა დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკმა ახალი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა.

რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99.94 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატებს ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა არჩევნების მონაწილეთა საერთო რიცხვის 99,59 პროცენტმა. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არიან: ქალები 33,4 პროცენტი, უპარტიოები — 32,8 პროცენტი. წარმოებაში უშუალოდ დასაქმებული მუშები და კოლმეურნეები — 47,3 პროცენტი. დეპუტატთა 84,2 პროცენტი რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოში პირველად არიან არჩეული.

ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში. ყველა საარჩევნო ოლქში კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,86 პროცენტმა. უკრაინის სსრ უმაღლეს საბჭოში არჩეულ არიან: ქალები 34,1 პროცენტი, უპარტიოები — 32,0 პროცენტი, მუშების და კოლმეურნეების — 51,4 პროცენტი. დეპუტატთა 63,3 პროცენტი არ ყოფილა უკრაინის სსრ წარსული მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტმა. ყველა საარჩევნო ოლქში კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა არჩევნების მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,83 პროცენტმა. ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებად არჩეული არიან: ქალები — 35,87 პროცენტი; უპარტიოები — 30,64 პროცენტი; მუშები და კოლმეურნეები — 46,32 პროცენტი; დეპუტატთა 81,47 პროცენტი არ ყოფილა რესპუბლიკის წარსული მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა უზბეკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში. ყველა საარჩევნო ოლქში კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,76 პროცენტმა. დეპუტატებად არჩეული არიან: ქალები — 30,3 პროცენტი; უპარტიოები — 28,2 პროცენტი; მუშები და კოლმეურნეები 46,7 პროცენტი. დეპუტატთა 72,9 პროცენტი არ ყოფილა უზბეკეთის სსრ წარსული მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტმა. ყველა საარჩევნო ოლქში კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,53 პროცენტმა.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არჩეულნი არიან: ქალები 33,4 პროცენტი; უპარტიოები — 33,8 პროცენტი; წარმოებაში უშუალოდ დასაქმებული მუშები და კოლმეურნეები — 48,8 პროცენტი. დეპუტატთა 86,5 პროცენტი პირველად არის არჩეული ყაზახეთის სსრ უმაღლეს საბჭოში.

მოლდავეთის სსრ უმაღლეს საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,90 პროცენტმა, სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,88 პროცენტმა. არჩეულ დეპუტატთა შორის არიან: ქალები 37,8 პროცენტი; უპარტიოები — 35,9 პროცენტი; მუშები და კოლმეურნეები — 61,5 პროცენტი. არჩეულ დეპუტატთა 82,7 პროცენტი არ ყოფილა წარსული მოწვევის დეპუტატი.

ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,81 პროცენტმა. ყველა საარჩევნო ოლქში კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,85 პროცენტმა. დეპუტატთა შორის 32,90 პროცენტი ქალია; 36,45 პროცენტი უპარტიოა; 48,71 პროცენტი მუშა და კოლმეურნეა. არჩეულ დეპუტატთაგან წარსული მოწვევის დეპუტატი არ ყოფილა 87,74 პროცენტი.

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,96 პროცენტმა. კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა 99,76 პროცენტმა.

ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობაში არიან: ქალები 33,0 პროცენტი, უპარტიოები — 30,7 პროცენტი, მუშები და კოლმეურნეები — 48,0 პროცენტი. რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში პირველად არჩეულ დეპუტატთა რიცხვი 67 პროცენტს შეადგენს.

თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,99 პროცენტმა. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა კანდიდატებს ყველა საარჩევნო ოლქში ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,69 პროცენტმა.

რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში არჩეული არიან: ქალები 35,11 პროცენტი; უპარტიოები — 32,62 პროცენტი; მუშები და კოლმეურნეები — 49,65 პროცენტი. თურქმენეთის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შემადგენლობა 73,76 პროცენტით განახლდა.

• • •

აღნიშნულ რესპუბლიკათა ცენტრალურმა საარჩევნო კომისიებმა განიხილეს მასალები ცალ-ცალკე თითოეული საარჩევნო ოლქის მიხედვით და რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების არჩევნების დებულების შესაბამისი მუხლების საფუძველზე რეგისტრაციაში გაატარეს უმაღლეს საბჭოებში არჩეული დეპუტატები ყველა საარჩევნო ოლქში.

ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატები არიან.

ქართული ფერწერის დიდოსტატი



გიგო გაბაშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო

ჩვენი რესპუბლიკის საზოგადოებრობა აღნიშნავს გამოჩენილი ქართველი ფერმწერის,

მშრომელი. მშობელი. სახელმწიფო მოღვაწე

ორნი არიან...

ისინი ორნი არიან — ორნი მრავალთაგან. ერთმანეთს საოცრად ჰგვანან — სიცოცხლის სიხარულით, შრომის რომანტიკით, გულისხმიერებით, თავმდაბლობით... ჰგვანან, მაგრამ ჯერ არ იცნობენ, არ შეხვედრიან ერთმანეთს პირისპირ. ამის დროც მოვა: ხალხის რჩეულნი ერთად გადაწყვეტენ სახალხო საქმეს. ადვილი შესაძლებელია, ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდნენ ხალხმრავალ დარბაზში და... იცნონ ერთმანეთი სიცოცხლის სიხარულით, შრომის რომანტიკით, ხალხის საქმისათვის თავდადებით, გულისხმიერებით... იმ დღეს გაუმარჯოს, მათი მეგობრობის საწყის დღეს!

* * *

ჩვ თქვენ უფრო ხნიერი მეგონეთ, წარმოსადეგი, მაღალი... საამქრო, სადაც თქვენ ტრიალებთ, სავსეა ყელყელა დოქებით, ნაირნაირი სასმისებით, ხელადებით, ჭურებით, ვაზებით, ჩაფებით. ამ ვაზას „შრომანა“ დაარქვით ქალიშვილებმა, იმას „იასამანი“, „მზია“... მართლაც შრომნის ფერი გადაჭრავს ქართულ ფაიფურს. დამშვენდება ამ გაზაფხულზე თეთრი შროშნები და იასამნები. ამ გაზაფხულზე... ჯერ კი გაზაფხულის პირველ თვეს გაუშლია ფრთები საბურთალოზე.

ქარი ფიფქებს აცლის, და ფეხს იდგამენ ენძელები, შროშნები. მოდიან, რომ შენი კარგი ქალობა დალოცონ, თამარ, კარგი იყავით მაშინ, რაკი მთებიდან ბარად რომ ჩამოხვედით, თითქმის გოგონა. უმამოდ დარჩენილ დისშვილებს რომ უვლიდით ლაგოდეხში. ბავშვებს გამოჭეკვით თბილისშიც და სკოლიდან დაბრუნებულებს თბილ კერძს ახვედრებდით, დედურ გულსა და ზრუნვას. ბავშვები საერთოდ ძალიან გიყვარდათ. იქ, სოფელ წედისში, მერხებზე ჩამწკრივებულ პატარებს ასწავლეთ პირველი ასოები, ყაყაჩოსა და ყანის ლექსები...

მერე 1958 წელი. საბურთალოს აგურის ქარხნის დირექტორმა ირიბად აგხედათ, რის გაკეთება შეუძლია აქ ამ სიფრიფანა ქალიშვილს? აი თუნდაც საყალბინა საამქროში?

მაინც გადაწყდა: აგურის დამზარისხებლად გაგიშვეს. ძნელი იყო? ახსოვთ ამ ხელებს პირველი სიძნელე. ახსოვთ ამ თვალებსაც: საამქროს წუნი არ უნდა გაუშვას. ჰოდა, არც უშვებდა. ამაში ამ ხელებსაც ედოთ წვლილი, ამ თვალებსაც... ამიტომ უყვართ ყველას ეს გოგონა. შემდეგ ახალი საამქრო. ახალი საქმე. აქ უკვე გამჩრიახი თვალია საჭირო, სათუთი ხელი, გემოვნება. კარგია, როცა მეგობარს საუკეთესო საჩუქარს შეურჩევ ადამიანი. აი თუნდაც ის დოქი—ქართულ ორნამენტებში ჩამჯდარი ვაზის ფოთოლი. კამარაშეკრული ირმები... ...მათ რომ შეეძლოთ, გიამბობენ, როგორ ჩაასხეს ყალიბებში გოგონებმა ფაიფურის მასა, როგორ გამოიღეს შემდეგ ყალიბებიდან, ჩამოასწორეს სათუთად, ღუმელში შედგეს — გამოსაწვავად. შემდეგ მხატვართა ხელი... მოჭიქურება... ხელახლა ღუმელი... და ყველგან მისდევს ნაწარმს თამარის თვალი... არ დაისვენებს, ვიდრე სიყვარულით არ შეავლებს თვალს თავის ნახელავს. მშვიდობაში, უცნობო მეგობარო, ეს ნატიფი საჩუქარი. დალოცეთ თამარის მარჯვენაც. მარჯვენა მართლაც დალოცილი აქვს — გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს; 140-150 პროცენტით...

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ

ყვარლის რაიონის ეკონომიკაში თამბაქოს ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უკავია. მარშან მოსავლელად მიჩენილ 0,4 ჰექტარზე გეგმით უნდა მიმეღო 640 კილოგრამი თამბაქო, ფაქტიურად მოვიყვანე — 1.634 კილოგრამი.

ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ვასრულებ აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმას. შვიდწლედის მეოთხე წელს გამოვკვებე 14 გრამი აბრეშუმის მური და სახელმწიფოს მივყიდე 66 კილოგრამი მაღალხარისხოვანი აბრეშუმის პარკი. გეგმით კი მხოლოდ 29 კილოგრამი უნდა მიმეღო.

შვიდწლედის მეხუთე წელი ჩემთვის მუდამ სამახსოვრო წელი იქნება. თანასოფელელებმა დიდი ნდობა გამომიცხადეს. მე, უბრალო კოლმეურნე ქალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დამასახელეს. ეს ჩემთვის დიდი ბედნიერებაა. შრომა სიხარულია. ჩემი ქმარი მირიანი კოლმეურნეობის აქტიური წევრია. მყავს 4 შვილი, ყველა სკოლაში სწავლობს, ისინი თავისუფალ დროს გვერდზე მიდგანან და ერთად გვჭნით საკოლმეურნეო ხვავსა და ბარაქას.

წელს ჩემი პირობაა 0,4 ჰექტარზე მივიღო 1.700 კილოგრამი თამბაქოს ნედლეული ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 640 კილოგრამისა, ხოლო 14 გრამ მურზე მივიღო და სახელმწიფოს მივყიდო 70 კილოგრამი აბრეშუმის პარკი და ამით მოსავლიანობის გეგმას 36 კილოგრამით გადავაჭარბო.

მაგრამ მარტო ეს როდია მთავარი. ახლა ჩემი საბრუნავია გამოვზარდო მეთამბაქოე და მეაბრეშუმე შუქურები, რომ უფრო გამრავლოთ სოფლის ბარაქა.

თამარ კაკაბაძე.

ყვარლის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობის წევრი.

ᲓᲘᲓᲘᲡ ᲒᲖᲐᲖᲔ

ᲕᲘᲜ არ იცნობს ჩვენს კოლმეურნეობაში ნადეუდა ტარასის ასულ გიცბას. აფხაზეთის ზაკლადას ეძახიან. მასავით შრომისმოყვარე, გამრჯე, ნათელი სინდისის მატარებელია.

უყვარს შრომა, თავისი სოფელი, მისი ადამიანები. ამიტომაც არის შეურიგებელი მათ მიმართ, ვინც საზოგადოებრივ შრომას გაურბის, მხოლოდ თავის საკარმიდამო ნაკვეთს დასტრიალებს.

არცთუ ისე დიდი, მაგრამ ლამაზი ბიოგრაფია აქვს ნადეუდა გიცბას. დაიბადა და გაიზარდა ჩვენს სოფელში. როცა დამთავრა სკოლა, მშობლიურ კოლმეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

ასე გადიოდა დრო, და კოლმეურნე ქალიშვილი კეთილსინდისიერი შრომით სოფლის მკვიდრთა სიყვარულსა და პატივისცემას იმსახურებდა.

...დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდანვე ნადეუდა თავისი სურვილით საბჭოთა არმიის რიგებში ჩადგა. ომის განმავლობაში კავშირგაბმულობის წარჩინებულ მუშაკად ითვლებოდა.

მას ყველა იცნობდა როგორც მამაც და თავდადებულ ქალიშვილს, რის გამო რამდენჯერმე დაიმსახურა მთავრობის ჯილდო. მას მკერდს უშვენებს მედლები დიდ სამამულო ომში მონაწილეობისა, კავკასიის დაცვისათვის და სხვ.

სამამულო ომის დამთავრებისთანავე ნადეუდა გუდაუთის რაიონის შუბლიერ სოფელ ბზიფში დაბრუნდა, თავის მშობლებსა და თანასოფლელებს ამოუდგა მხარში და კოლმეურნეობაში მამაცურ შრომას შეუდგა.

დიდი ოჯახის პატრონია ამჟამად ნადეუდა, მთელი სოფელი პატივს სცემს. ხუთი შვილის დედაა, მაგრამ შრომაში არავის ჩამოუვარდება. კარგა ხანია კოლმეურნე ქალი მე-9 ბრიგადის თამბაქოს სანერგე მეურნეობას განაგებს. ყოველწლიურად მისი ხელმძღვანელობით მეთამბაქოეებს ჯანსაღი ჩითილი გამოჰყავთ და უზრუნველყოფენ ბრიგადის მოთხოვნილებას.

როდესაც პლანტაციები და სიმინდის ყანები მწვანედ აბიბინდება, ცნობილი კოლმეურნე ქალი მაღალი მოსავლისათვის ბრძოლაში ებმება.

შინ და გარეთ შრომაშია, ამავე დროს ყოველ სეზონში სანიმუშოდ უვლის აბრეშუმის ჭიას და ყოველწლიურად 20 კილოგრამს ნაცვლად 40-45 კილოგრამ აბრეშუმის პარკს აბარებს სახელმწიფოს.

ნადეუდა მუდამჟამს სოფლის ცხოვრების ფერხულშია ჩაბმული. სკოლის მშობელთა კომიტეტის უცვლელი წევრია. მუდამ ირჩევდნენ სასოფლო საბჭოს დეპუტატად. კეთილსინდისიერად ასრულებდა ნადეუდა გიცბა დეპუტატის საპატიო მოვალეობას და სწორედ ამიტომ კვლავ ხალხის რჩეულთა რიგებშია.

ამას წინათ მთელმა სოფელმა ერთხმად დაასახელა ნადეუდა ტარასის ასული გიცბა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბზიფის № 342 საარჩევნო ოლქში.

ჩვენ, სოფელ ბზიფის კოლმეურნეები, არჩევნების დღეს, 17 მარტს, ერთსულოვნად მივცემთ ხმას სახელოვან თანასოფელს!

ᲓᲣᲡᲘᲐ ᲒᲖᲐᲜᲑᲐ,
ᲖᲘᲜᲐᲘᲓᲐ ᲒᲘᲪᲑᲐ,
ᲚᲣᲒᲐ ᲮᲐᲒᲣᲡᲘ.

გუდაუთის რაიონის სოფელ ბზიფის კოლმეურნეობის წევრები.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲝᲚᲘᲜᲐ

საკერავ მანქანასთან ზის ქერათმიანა, ცისფერთვალება ქალიშვილი. იგი სწრაფად ასწორებს დასაგვირისტებელ ნაჭრებს, გაატარებს მანქანაზე, შემდეგ გადმოაბრუნებს, გაუვლის მეორე გვერდს, ახლა მაკინტოშის მეორე ცალის ჯიბეების შეკერვას იწყებს.

ეს ქალიშვილი კომუნისტური შრომის დამკვრელი პოლინა ბოგდანოვაა. იგი საერთო სიყვარულით სარგებლობს თბილისის № 1 სამკერვალო ფაბრიკაში, რომ იტყვიან, ამ საწარმოს შვილია. 15 წლისა იყო გოგონა, როცა პირველად შეაღო ფაბრიკის კარი. აქ ფაბრიკასთან არსებულ ერთწლიან სამკერვალო სკოლაში შეისწავლა მკერავის პროფესია და მას შემდეგ დღემდე, მთელი 16 წლის განმავლობაში მუშაობს მკერავად. პოლინა ყოველდღიურ დავალებას გადაჭარბებით ასრულებს. ქალიშვილის ნახელავს წუნს ვერ მოუნახავთ. ტყუილად კი არ ითვლება იგი კომუნისტური ბრიგადის საპატიო წევრად. ქერათმიან ქალიშვილს არც სწავლისათვის უღალატნია. მან წარმატებით დაამთავრა საღამოს სკოლა და დღეს ითვლება საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების II კურსის სტუდენტად სამკერვალო ტექნოლოგიის განხრით.

პოლინა ფაბრიკის პარტიული ბიუროს წევრია. იგი შრომასა და სწავლას კარგად უფარდებს საზოგადოებრივ საქმიანობას. მისმა ფაბრიკის კოლექტივმა კარგად დააფასა, და ამიტომაც იყო, რომ 1956 წელს აირჩიეს პირველად ოქტომბრის რაიონული საბჭოს დეპუტატად. 1959 წელს დელეგატად გაგზავნეს მოსკოვში სკკპ XXI რიგგარეშე ყრილობაზე, იმავე წელს აირჩიეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, წელს ფაბრიკის კოლექტივმა იგი კვლავ წამოაყენა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

ᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲐᲡ ᲣᲛᲔᲑᲔᲜ

როცა პატარა გულსანამ ალიევა ღილით სკოლაში წასვლის თადარიგს შეუდგებოდა, მისი უფროსი და გულისტანი უკვე მერძევეობის საბჭოთა მეურნეობაში ფუსფუსებდა. ძროხებს უვლიდა.

გულსანამი გულის ფანცქალით ნატრობდა, როდის წამოიზრდებოდა, თუ როდის მოიხსნიებდნენ თავის დასთან ერთად მოწინავე მწველავთა რიგებში. და ეს მოხდა 1954 წელს, როცა 14 წლის გულსანამმა მორიდებით შეაღო გარდაბნის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის დირექციის კარი. ითხოვა, ფერმაში სამუშაოდ გამიშვითო. იმ დღიდან ჩაება შრომის ფერხულში გულსანამ ალიევა. თავდაპირველად რამდენიმე ძროხის მოვლა მიანდეს.

გაუკვირდა ყველა. თვითეულ ძროხაზე გეგმის ზევით ორა-სამი კილოგრამით მეტი რძე მიღო და ამით თავის სახელმოხვეჭილ დასაც კი გაუსწრო. ერთი წლის შემდეგ კი მეურნეობაში ბადალი არ ჰყავდა.

გულსანამი თვრამეტ ძროხას უელის. ყოველდღიურად თვითეულ ძროხაზე გეგმით გათვალისწინებულ ექვსი კილოგრამის ნაცვლად თერთმეტ-თორმეტ კილოგრამ რძეს იღებს, წლიურად კი — 3.000 კილოგრამს.

ბედნიერია წლევანდელი წელი გულსანამ ალიევასათვის. მან საკუთარი ოჯახი შექმნა. შრომა დაუფასდა — ხალხმა იგი საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატად წამოაყენა.

ნ. ᲤᲣᲢᲣᲠᲘᲫᲔ.

ᲛᲐᲓᲚᲝᲛᲘᲡᲘᲚᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ

ნინო რამიშვილი — ვიტყვით ამ სახელს, ყველა ქართველისათვის ფართოდ ცნობილს და სასიხარულოს, ვიტყვით და წარმოგვიდგება ქართული ცეკვის ეში და სილამაზე, სიდარბაისლე, სინარნარე და ჰაეროვნება. აგერ უკვე მეოთხედ საუკუნეზე მეტია, რაც ნინო რამიშვილი უცვლელი წარმატებით გამოდის, როგორც ქართული ეროვნული ცეკვების დიდებული შემსრულებელი და დამდგმელი ხელოვანი, მოცეკვავეების ახალ თაობათა აღმზრდელი და დამაოსტატებელი.

დღეს თუ საქართველოს საუკუნოვანი და მრავალფეროვანი ხალხური ქორეოგრაფია მთელ მსოფლიოშია განთქმული, თუ იგი ევროპის, ამერიკისა და აზიის ხალხთა აღფრთოვანებასა და აღტაცებას იწვევს, ამაში, ცხადია, თავისი მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებულ ანსამბლს, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და მხატვრული ხელმძღვანელია ნინო რამიშვილი.

ნინო რამიშვილი ჯერ კიდევ 1927 წელს გაიცნო ქართველმა მაყურებელმა. მაშინ იგი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ბალეტის სოლისტი იყო. ახალგაზრდა ნიჭიერი მოცეკვავე პირველი გამოსვლებისთანავე მოიწონა და შეიყვარა მაყურებელმა. დიდი ხელოვნების ფართო გზაზე გამოსული მსახიობი საკუთარ თავზე დაუღალავი მუშაობით სრულყოფდა და ხვეწდა თავის ხელოვნებას, ოსტატდებოდა და სასიხარულო შემოქმედებითს წარმატებებს აღწევდა.

1930 წლიდან ნინო რამიშვილს ერთგულად ამოუდგა მხარში ამჟამად საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ილიკო სუხიშვილი. ჰარმონიულად შეხმატკბილებულ ამ დიდებულ წყვილს მრავალჯერ მოუხიბლავს მაყურებელი ქართული ხალხური ცეკვების მაღალოსტატური შესრულებით. დღეები დღეებს მისდევდა, წლები წლებს, წარმატება წარმატებით იცვლებოდა, სიხარულს სიხარული მოსდევდა. შემოქმედებითი ძიებაში იზრდებოდა, ოსტატდებოდა და ყალიბდებოდა ეროვნული კულტურის ორი პირველხარისხოვანი მოღვაწე, რომლებმაც შორს გაუთქვეს სახელი ქართულ ხალხურ ქორეოგრაფიას.

ამ თვრამეტიოდე წლის წინათ, 1945 წელს ნინო რამიშვილმა ილიკო სუხიშვილთან ერთად საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლს, რომელმაც ტრიუმფალური წარმატებით მოიარა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა. 1949 წელს ნინო რამიშვილს, როგორც ანსამბლის პროგრამის ერთ-ერთ შემქმნელსა და დამდგმელს, პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია მიენიჭა, ხოლო 1953 წლიდან იგი საქართველოს სსრ სახალხო არტისტია. ნინო რამიშვილი დაჯილდოებულია ლენინის ორდენით (1958 წელს საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ანსამბლის წარმატებით გამოსვლისათვის), რუმინეთის ოქროს ვარსკვლავის ორდენით, მედლებითა და საპატიო დიპლომებით.

დღეს ნინო რამიშვილი ჩვენი სახელმოხვეჭილი ანსამბლის არა მარტო მხატვრული ხელმძღვანელი და ცეკვების დამდგმელია, არამედ მისი ერთ-ერთი წამყვანი სოლისტიც. მისი ორიგინალური ნოვატორული ცეკვები „ჯეირანი“ და „ყარაჩოღელი“ ანსამბლის ერთ-ერთი წარმატაცი ნომრებია და მაყურებელთა საერთო აღფრთოვანებას იწვევს.

სახელოვანი და საამაყო ხელოვანი ნინო რამიშვილი ხალხის რჩეულთა შორის დგას. იგი ერთსულოვნად დასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. თბილისის ბარათაშვილის № 43 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები ასეთივე ერთსულოვნებით მისცემენ ხმას ეს ხალხის დეპუტატად აირჩევენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ნინო რამიშვილს.

ᲚᲐᲠᲘᲡᲐ ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ: რესპუბლიკის სახალხო არტისტი ნინო რამიშვილი ასრულებს ცეკვა „ჯეირანს“.

ᲡᲐᲜᲐᲥᲔᲑᲝ ᲛᲔᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ

ᲤᲔᲠᲘᲐᲓ იუსუფის ასული გაბაიძე ჯერ კიდევ ბავშვი იყო, დიდ საქვეყნო საქმეებზე რომ ლაპარაკობდნენ გაზეთები, შრომის გმირებზე წერდნენ. პატარა გოგონასაც სურდა ესწავლა და ეშრომა ისე, რომ მოწინავე ადამიანის სახელი მოეპოვებინა. უფროსებს ხშირად ასდევნებია საკოლმეურნეო მინდვრებში. განსაკუთრებით თამბაქოს მოვლა აინტერესებდა. არც არის საკვირველი: დედამისი მთელ სოფელში სანაქებო მეთამბაქოე იყო.

1941 წლის ომის საშინელი დღეები იდგა, როცა ჩვიდმეტი წლის გოგონას თამბაქოს პლანტაცია მიუზომეს მოსავლელად. ისიც იმ დღიდან ცისკრის ვარსკვლავს თამბაქოს პლანტაციაში ეგებებოდა. მერე წლები წლებს მიჰყვა, თანდათანობით მეტი გამოცდილება მიიღო. უხვად მოზღვავდა თამბაქოს ფოთოლი. განსაკუთრებით კი 1960 წელს ისახელა თავი. 1500 მეტრი ფართობი ჩაიბარა მოსავლელად. შენ მარტო ვერ მოერევი ამდენ ნაკვეთს, ვინმეს მოგახმარო, უთხრა სოფელ ხიბაძირის თავკაცმა. რაკი ავიღე, მოყვანასაც შევძლებო, მტკიცედ უპასუხა ფერიადმა თავმჯდომარეს. მოსავლემა მართლაც მოლოდინს გადააჭარბა. 200 კილოგრამის ნაცვლად 480 კილოგრამი მაღალხარისხოვანი თამბაქო მოიყვანა.

სიყვარული და ბედნიერება მეფობს ამ საბჭოთა ოჯახში. ცხრა შვილი — რვა ქალი და ერთი ვაჟი — ჰყავს ფერიადს, ოჯახის შნო და ლაზათი, მომავლის იმედი და სიხარული. თვითონ კი... ჯერ ოცდაცხრამეტი წლისაა — ბედნიერი, ჯანსაღი.

კიდევ რამდენიმე დღე, და აქვირის ასხრ უმაღლესი საბჭოს ხუთლოს რაიონის ხიბაძირის № 67 საარჩევნო ოლქში ერთსულოვნად მისცემენ ხმას კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის ამ ღირსეულ კანდიდატს.

ბარაქალა შენს მარჯვენას, ხიბაძირელო ქალო!

ლ. ᲒᲐᲑᲐᲘᲫᲔ.

ᲓᲔᲓᲘᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ

მასწავლებელი, რა დიდებულად ჟღერს ეს სიტყვა. ალბათ ყველა ენაზე ასე ფაქიზად, ასე თბილად ისმის, ალბათ ყველგან ასეთი საყვარელი და ფაქიზია მასწავლებელი. დედამიწის ყველა კონტინენტზე ყველა ეროვნების ბავშვი თავის მასწავლებელში დედის სწორს, დედასავით საყვარელ ადამიანს ხედავს, მისდამი შობლიური გრძნობით არის გამსჭვალული.

ალბათ ბავშვებს ყველგან ერთნაირად ჰგონიათ, რომ მისმა მასწავლებელმა ყველაფერი იცის, ალბათ ყველგან, ყველა კვეყანაში მასწავლებელი ახალი სასწავლო წლის პირველ დღეს ერთნაირად გადაშლის საკლასო ჟურნალს, ჯერ თვალის ერთი გადავლებით ჩაიკითხავს შვილების გრძელ სიას, შემდეგ თვითეულ მათგანს — სკოლის სიცოცხლესა და მაჯისცემას მოიკითხავს...

დგება სასწავლო ახალი წელი. დიახ, მასწავლებლებს ორი ახალი წელიწადი აქვთ და პირველი სექტემბრის ახალი წელიწადი ნაკლებ როდი აღელვებს მათ, ვიდრე ჩვეულებრივი...

მეორე ახალი წელიწადი თამარ ივანეს ასულ ჯაფარიძის ცხოვრებაში 1940 წლის 1 სექტემბერს დაიწყო, როდესაც სრულიად ახალგაზრდა გოგონამ, უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, მორიდებით შეაღო თელავის გორკის სახელობის მეოთხე საშუალო სკოლის კარი. მას აქ უნდა გაეგრძელებინა დედის, მათემატიკის მასწავლებლის ბარბარე ჯაფარიძის ტრადიციები. თამარს ხომ სწორედ დედამ შეაყვარა მათემატიკა, აზიარა ამ ზუსტ და მეტად საინტერესო, ცხოვრებაში აუცილებლად გამოსაყენებელ მეცნიერებას, და აი ახლა რამდენ მოზარდს მან თვითონ უნდა შეაყვაროს ეს საგანი, რომელიც ყოველთვის და მით უმეტეს ატომისა და კოსმოსის საუკუნეში თითქმის ყველა მეცნიერული კვლევის ფუძე და საძირკველია.

ვთხოვეთ თამარ ჯაფარიძეს ცოტა რამ მოეთხრო თავის მუშაობასა და ცხოვრებაზე. — აბა რა უნდა გითხრათ ისეთი, რომ სხვა გავაკვირეო, — განაცხადა მან, — ჩემი ცხოვრებაც ერთი უბრალო მასწავლებლის ცხოვრება და შემოქმედებაა თავისი სიხარულითა და იმედით... ჩემი პირველი შთაბეჭდილება სკოლაში არცთუ ძალიან სასიხარულო იყო. ვამჩნევდი, რომ ბავშვების მიდრეკილება მათემატიკისადმი სხვა საგნებთან შედარებით ნაკლები იყო, მათ სკოლის მერხებზე მოჰქონდათ მცდარი აზრი, თითქოს მათემატიკა არასაინტერესო საგანი და დაუძლეველად ძნელია. ამიტომ ზოგი მათგანი ხელჩაქნეულიც იყო. სწორედ ეს ბარიერი უნდა გადამელახა და მიმეღწია იმისათვის, რომ ეს საგანი შეჰყვარებოდათ ბავშვებს, გულდასმით მოჰკიდებოდნენ მას. მათემატიკას ხომ სისტემატური, ყოველდღიური მუშაობა, ნებისყოფა ესაჭიროება. ამიტომ ცოტა შრომის დახარჯვა როდი მიხდებოდა თვითეულ მათგანთან, ბეჯითად ემზადებოდი ყოველი გაკვეთილისათვის, ვცდილობდი როგორმე საინტერესოდ, ცოცხლად გადმეცა მოსწავლეებისათვის თვითეული შესასწავლი საკითხი.

თამარის აღზრდილები ჯერჯერობით აკადემიკოსები ან პროფესორები არ გამხდარან. ისინი თითქმის ახლახან გამოვიდნენ სამოღვაწეო ასპარეზზე. ბევრმა მისმა აღზრდილმა საუკეთესოდ დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლები და უანგაროდ მოღვაწეობს სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებსა და სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა ფრონტზე. ბევრი ახლა სწავლობს უმაღლეს სასწავლებლებში. თამარი ხომ სულ ჩვიდმეტი წელია მოღვაწეობს. თბილისის 23-ე საშუალო სკოლაში, სადაც ამჟამად ასწავლის, 1953 წელს დაიწყო მუშაობა.

თამარ ჯაფარიძეს იცნობენ როგორც საუკეთესო პედაგოგს, პრინციპული ხასიათის მასწავლებელს. ამავე დროს იგი მაღალი კულტურის ადამიანია, შესანიშნავი დედა და კარგი მეუღლე, თავმდაბალი და შრომისმოყვარე, სამართლიანი, თავისი თავისადმი მკაცრად მომთხოვნი, თავდაჭერილია და ჩაცმულობით სამაგალითო. ამიტომ უყვართ იგი მოსწავლეებსა და პედაგოგებს, დიდ პატივს სცემს საზოგადოებრიობა. ამიტომაც იყო, რომ თავისმა კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დაასახელა 30-ე პისარევის საარჩევნო ოლქში.

17 მარტს ყველანი ერთსულოვნად მისცემენ ხმას დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატს, და რიგითი საბჭოთა მასწავლებელი ქალი სახელმწიფო მოღვაწე გახდება.

ᲔᲗᲔᲠ ᲛᲐᲛᲐᲚᲐᲫᲔ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ: თ. ჯაფარიძე.

ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲓᲐᲜ

დიდებული მესხეთის ერთ-ერთი თვალწარმტაცი სოფელია სხვილისი. ტყუილად როდი უწოდებენ მას მეგობრობის სოფელს. აქ ერთ ინტერნაციონალურ ოჯახად გაერთიანებულან ქართველები და სომხები, მხარდამხარ, დარაზმულად შრომობენ საკოლმეურნეო წარმოების აღმავლობისათვის, მშობლიური სოფლის წინსვლისა და აყვავებისათვის.

მრავალი სახელოვანი ადამიანია სხვილისში. მათ შორის არის წარჩინებული მწველავი ქალი ვერონ ხაჩატურის ასული ნახაპეტიანი. თავდადებულმა და ენერგიულმა შრომამ აამაღლა იგი თანასოფელელთა თვალში. ორი წლის წინათ მოვიდა ვერონი მეძროხეობის ფერმაში, მაგრამ ამ ხნის მანძილზე საუკეთესოდ დაეუფლა პირუტყვის მოვლა-პატრონობისა და წველის მოწინავე მეთოდებს.

შარშან მოწინავე მწველავმა 12 ძროხაზე 12 ხბო მიიღო, გაზარდა და თვითეულ ძროხაზე 1.350 კილოგრამი რძე მოწველა, რაც 350 კილოგრამით აღემატება წლიურ გეგმას.

ახალგაზრდა მწველავი დაუზარლად სწავლობს სხვებისაგან და ასწავლის სხვებს.

— წარმატებათა მიღწევაში, — გვითხრა ვერონიკამ, — დიდად დამეხმარა რაიონის მოწინავე მწველავებთან — ანელ ედიკო კაპანაძესთან, ურავლელ ქეთევან ჯაოშვილთან და ჭაჭარაქელ რიფსიმე ელბაქიანთან გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. ბევრი რამ ვისწავლე და გადმოვიღე მათგან.

რამდენი რამე აქვს საამაყო და სასიხარულო მწველავ ქალს!

და კიდევ ერთი, ყველაზე დიდი სიხარული... რა დიდი პატივისცემისა და სიყვარულის დამსახურება შესძლებია უბრალო მწველავ ქალს... თანასოფელელებმა ვერონ ხაჩატურის ასული ნახაპეტიანი ერთსულოვნად დაასახელეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად.

სიხარული, შრომით მოპოვებული სიამაყე სუფევს დეპუტატობის კანდიდატის ოჯახში...

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲩᲘᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ.



ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი ქალები (მარცხნიდან მარჯვნივ) პოლინა ბოგდანოვა, გულსანამ ალიევა, ნადეუდა გიცბა და ვერონ ნახაპეტიანი.

ᲐᲛᲐᲒᲓᲐᲠᲘ ᲥᲐᲚᲘ

წლებმა გაათეთრა ობლების დედა ოლია ჩოჩიევა, დანოკოდა მზის დასადარი სახე. გაჭრა ოცნებები სიყრმისა. თვალები თანდათან ჩაღრმავდა, მაგრამ სიცოცხლის შუქი ისევ კრთის, ისევ, ისევ ალერსიანად იყურებიან. შავი გადაკლმული წარბები აქიჩრილ ტყეზე თოვლს რომ დასდებს, ისე შეთეთრებია. სხეული წელთა ჭიდილს შეუცვლია.

ოლიას ცხოვრების მეგობარი 1918 წელს გარდაიცვალა, მაშინ ახალგაზრდა ქვრივს სამი ობოლი დარჩა.

სიკვდილის წინ ვაჟკაცს შვილები ედარდებოდა, მაგრამ დიდია დედის გული, ამ გულმა ყველაფერი გადაიტანა ბავშვების კეთილდღეობისათვის. სახელოვნად დაზარდა ორი ვაჟი და ერთი ქალი...

ოქტომბრის მზემ უხვად გადმოაფრქვია სხივები და ობლების კერა ძალუმად გაათბო.

უფროსმა შვილმა გიორგიმ საშუალო სკოლა დაამთავრა. მომდევნომ რომანმა პოლიტექნიკური ინსტიტუტი, უმცროსმა ნინომ — უნივერსიტეტი.

ოლია უფრო გულგალალებულია შვილშვილების ცქერით. მისი შვილი გიორგი ცხოვრობს და მოღვაწეობს ცხინვალში, ხოლო შვილიშვილი ვიტალი ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატია, მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ვიტალის უმცროსი ძმა თბილისის კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტია. მათმა დედამ მარიამმა 40 წელი იმუშავა მასწავლებლად. ახლა პენსიას იღებს.

ნინომ 1930 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი. პედაგოგად ორმოცდაათ წელზე მეტი იმუშავა. პენსიონერი ქალი ახლა მუშაობს ბიოლოგიის დარგში დასერტაციის დასაცავად.

ოლიას სკოლაში არ უსწავლია, წერა-კითხვა თვითონ შეისწავლა, მისი ბიბლიოთეკა გაგაკვირვებთ. რა წიგნს არ ნახავ-ფშაველა, კოსტა ხეთაგუროვი, რუსული ლიტერატურის კლასიკოსები.

განათლები ტყუილად როდი ეძახიან ოლიას „ოთარაანთ ქვრივს“. იგი ცხოვრებისა და სიცოცხლის მოყვარულია. შრომაა მისი განუყოფელი თვისება“. ზარმაცები და ცუღლუტები დასანანად ეჯავრება. ახარებს შრომა საშობლოს საკეთილდღეოდ.

ბედნიერია ოლია, ლაღად, ხალისიანად ატარებს ცხინვალის რაიონის სოფელ ვანათში სიბერის წლებს. სწამს, რომ ყველა ახალი დილა მისი შვილების, შვილიშვილებისა და მთელი ხალხისათვის ბედნიერების მომტანია.

Გ. ᲫᲘᲒᲝᲔᲕᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მედეა ჩახავა პოპულარული მსახიობია. თეატრსა და კინოში ნაყოფიერი მოღვაწეობით საყოველთაო სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

ბევრს სწავლობენ მისგან, როგორც სცენის ნიჭიერი ოსტატისაგან, ახალგაზრდები. მას ახლო მეგობრული ურთიერთობა აქვს თბილისის თეატრალური ინსტიტუტის სტუდენტებთან. მომავალი მსახიობები დიდად გაახარა იმ ამბავმა, რომ ხალხმა ღირსეულად დააფასა სცენის გამოჩენილი ოსტატის ღვაწლი და იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად და

ეს დღეები კაპროლაქტამის მშენებლობაზე

არ შევანელოთ ჯემპი!

ამ კვირის განრიგში შესასრულებელ სამუშაოთა რაოდენობა მნიშვნელოვნად დიდია. და ეს გასაგებია. კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობის დამთავრებამდე დარჩენილია მეტად მცირე დრო. მშენებელ-მემონტაჟეთა მთელი ყურადღება ახლა მიმართულია ყველა მნიშვნელოვანი და წვრილმანი სამუშაოსაკენ, ვინაიდან ცალკეულ წვრილმანებს შეუძლიათ მუშაობის შეფერხება.

№ 958 კორპუსზე, რომელსაც ამავე დროს უწოდებენ ნედლი კაპროლაქტამის საამქროს, გუშინ დასაქმებული იყო „მეტალურგპროკომონტაჟის", „ელექტრომონტაჟის", „სტროიმექანიზაციის", „ელექტროსანტექმონტაჟის", „თერმოიზოლაციის", „პრომვენტილაციის" და სხვა სამონტაჟო ორგანიზაციების მრავალი სპეციალისტი. ისინი წარმატებით ეწეოდნენ ორთქლის მილგაყვანილობის აპარატების მონტაჟს, ყველა დანადგარის გამოსახმარისებას, ამწე ტროლეების კონსტრუქციების მონტაჟს, კორპუსის განათების სამუშაოებს და სხვ.

მრავალი სახის სამუშაოები იქნა შესრულებული აგრეთვე № 959 და № 964 კორპუსებზე. ამ კვირაში უნდა დამთავრდეს ყველა ტექნოლოგიური დანადგარებისა და ვენტილაციის სისტემის მონტაჟი, ამონიუმის მილგაყვანილობის მიდროგამოცდა, სანტექნიკური სამუშაოები კალორიფერების, კონდენსატორებისა და ორთქლგამანაწილებელი ქიმების დაყენებით და სხვ.

ასევე ფართო მასშტაბით ეწევიან სამონტაჟო სამუშაოებს მშენებელ-მემონტაჟეები № 973 კორპუსზე. გუშინ აქ დამთავრებულ იქნა ერთი ტექნოლოგიური ხაზის ცეცხლგამძლე სამუშაოები, აგრეთვე განათების მონტაჟი.

№ 974 კორპუსი ერთ-ერთი წამყვანი ობიექტია ამონიუმის ბისულფატის წარმოებაში. მიმდინარე კვირის განრიგით აქაც მრავალი სამუშაოა გათვალისწინებული. თავიანთ სამუშაოებს წარმატებით ართმევენ თავს ის სამონტაჟო ორგანიზაციები, რომლებსაც იმნაძე, კლოჩკო, ლოპატინი, სამოილენკო და სხვები ხელმძღვანელობენ. ასე, მაგალითად, ისინი შეუფერხებლად აწარმოებენ თუჯის მაცივრების, დამლექი ელექტროდების, მჟავამილგაყვანილობის და სხვათა მონტაჟს.

ამასთან კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე ვხვდებით მთელ რიგ ნაკლოვანებებს, რაც იწვევს მშენებლობის ტემპების შენელებას.

„მეტალურგპროკომონტაჟის" სამმართველომ ვერ შეძლო დროულად დამონტაჟებინა № 958 კორპუსზე ხიდური ამწე. ამან ხელი შეუშალა „ელექტრომონტაჟის" სამმართველოს განრიგით გათვალისწინებულ ვადებში შეესრულებინა ელექტრო-გაყვანილობის სამუშაოები. ამავე ორგანიზაციას შეუფერხდა კაბელის ჩალაგების სამუშაოები იმის გამო, რომ დამკვეთმა ორგანიზაციამ ვერ უზრუნველყო იგი საჭირო კაბელით.

№ 973 კორპუსზე ჭიანურდება ფილტრების შემოსალტვა. როგორც ადგილზე აღნიშნავენ, — მონტაჟისმუშაშიტის" სამმართველოს არ გააჩნია სამშენებლო მოედანზე სათანადო ფილტრები.

გუშინ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობაზე მრავალი მემონტაჟე მოცდა იმის გამო, რომ არ ჰქონდათ ნეიტრალიზატორული ოკსიმები, ხრახნები, დამცველი სარქველები, შუქმფენები. როგორც მემონტაჟეთა ბრიგადირმა ა. გუტოროვიჩმა განაცხადა, ამ ნაწილების უქონლობა საფრთხის წინაშე აყენებს № 958 და № 960 კორპუსებზე განრიგით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას.

ჩვენ დავინტერესდით გაგვეგო სხვა სპეციალისტების გულისტკივილიც. აი რა გვიამბეს სამუშაოთა მწარმოებელმა ს. ფინკელშტეინმა და მემონტაჟეთა ბრიგადირმა ვ. ბერიშვილმა.

— მუშაობაში ხელი გვეშლება იმის გამო, რომ არა გვაქვს უყანგავი არმატურა, ფასონური ნაწილები, სარქველები, საყელურები და სხვ. ყველა ამ ნაწილებისა და მასალების შოვნა შეიძლება რესპუბლიკის ფარგლებში, მაგრამ დამკვეთი — აზოტოვანი სასუქების ქარხნის კაპიტალური მშენებლობის სამმართველო რატომღაც არ არის დაინტერესებული დროულად მოგვამარაგოს ზემოაღნიშნული მასალებით.

გუშინ კაპროლაქტამის წარმოების მშენებლობის შტაბის უფროსმა, ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის" ტრესტის მმართველმა ზ. ჯაფარიძემ ჩაატარა ოპერატიული თათბირი. თათბირზე ყურადღება გამახვილებულ იქნა განრიგით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესრულების საქმეში არსებულ ნაკლოვანებებზე და მიღებულ იქნა ზომები მათ დაუყოვნებლივ აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად.

— არ შევანელოთ ტემპი! — ეს მთავარი ამოცანა მშენებელ-მემონტაჟეთა საქმიანობაში.

გ. დემეტრაშვილი — „ქიმმრეწვმშენის" სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ა. ბერიძე — ნორმატიულ-საკვლევი სადგურის უფროსი, ზ. მერკვილაძე — „გაზეთ „კომუნისტის" საკ. კორ.

ქართული კაპროლაქტამი — მაისში

ბრიგადა

გრომიკო დანიაში

კოპენჰაგენი, 7 მარტი. (საკდესის სპეც. კორ.). ნორვეგიაში ვიზიტის დამთავრების შემდეგ გუშინ საღამოს ოსლოდან მატარებლით დანიის მთავრობის მოწვევით ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა აქ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. გრომიკო მეუღლითურთ.

ახალგაზრდობა მიეწალმება

ბუდაპეშტი, 7 მარტი. (საკდესი). ჭალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის გამო დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაციამ გამოაქვეყნა განცხადება. განცხადებაში იგი მიეწალმება მსოფლიოს ქალებს, რომლებმაც გაერთიანეს თავიანთი ღონისძიებანი მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობის ათვის, უკეთესი მომავლისათვის, იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

სასარგებლო კონტაქტები

ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). დიდი საგაზეთო გაერთიანების „ტომსონ ნიუსპეიპერს ლიმიტედის" მფლობელმა როი ტომსონმა გუშინ საღამოს მოაწყო აქ დიდი დარბაზობა, რომელიც მიეძღვნა ინგლისის თვალსაჩინო მრეწველთა, ფინანსისტთა და ჟურნალისტთა ამასწინანდელ მოგზაურობას მოსკოვში.

როი ტომსონმა შეკრებილთ გაუზიარა თავისი შთაბეჭდილებანი მოგზაურობის შესახებ. მან დიდი გულთადობით ილაპარაკა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ს. ხრუშჩოვთან შეხვედრაზე და იმ გულითად მიღებაზე, რომელიც მოსკოვში გაუწიეს.

დარბაზობას დაესწრო საბჭოთა კავშირის ელჩი ინგლისში ა. ა. სოლდატოვი.

საფრანგეთის მთავრობა ჯიუტობს

პარიზი, 7 მარტი. (საკდესი). მინისტრთა საბჭოს სხდომამ, რომელიც გუშინ საღამოს გაიმართა გენერალ დე გოლის თავმჯდომარეობით, განიხილა ფრანგ მაღაროელთა გაფიცვასთან დაკავშირებული პრობლემები.

მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება ქვანახშირისა და გაზის წარმოების შესახებ იმ შემთხვევისათვის, თუ მეშახტეთა გაფიცვა არ შეწყდება. ამრიგად, საფრანგეთის მთავრობა ფიქრობს გაფიცვის მონაწილეთა ინტერესები დაუპირისპიროს საფრანგეთის მილიონობით უბრალო ადამიანის ინტერესებს.

ინგლისელ-ამერიკელ-საბჭოთა

ოლაპარაკები

ლონდონი — ვაშინგტონი, 7 მარტი. (საკდესი). მონაწილეებს მიაჩნიათ, რომ პოლიტიკური მოლაპარაკება ინგლისსა და „ექსეულს" შორის შეიძლება მოეწყოს დასავლეთ ევროპის კავშირის ჩარჩოებში.

ბრიუსელი

ბრიუსელი — ლონდონი, 7 მარტი. (საკდესი). ბელგიის ოფიციალურ წრეებში ეცნობა, ინგლისის ელჩმა ბრიუსელში ბ. ბ. ბ.

ახალი ამბები

თქვენთვის, თბილისელო მშრომელებო!

გუშინწინ სამხრეთ ოსეთის შორეული სოფლებიდან ჩამოსული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით დატვირთული ათობით ავტომანქანა თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორიაზე განლაგდა.

კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობის მუშაკებმა ქარხნის მუშა-მოსამსახურეებს შესასყიდად მიუტანეს ათი ტონა ხორცი, თერმეტი ტონა ვაშლი, გოჭები, ქათმები, ყველი, ლობიო...

მინდვრის შრომელთა ბაზრობაზე ჩამოჰყვნენ ოლქის პარტიული, საბჭოთა და საეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

ქარხნის ტერიტორიაზე სახელდახელოდ გამართული დახლები პროდუქტებით აივსო. რა გინდა სულო და გულო, რომ აქ არ იყო. ორგანიზებულობით აქ თავი გამოიჩინეს სოფლების ერედვის, ვანათის, ავნევის, კეხვის, წინაგორის და სხვა კოლმეურნეობებმა.

კოლმეურნეებს, მუშა-მოსამსახურეებს კარგი მომსახურება გაუწიეს პირველი მაისისა და კიროვის რაიონის საკოლმეურნეო ბაზრების მუშაკებმა. ქარხანაში ამ დღეს სამრეწველო საქონლით შემხვედრი ვაჭრობა მოაწყო თბილისის უნივერმაღმა.

ქარხნის მოწინავე ადამიანმა, ზეინკალთა ბრიგადის ბრიგადირმა პ. ბედენაშვილმა განაცხადა:

— მისასალმებელი ინიციატივაა ქარხანაში ასე ორგანიზებულად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით ვაჭრობის მოწყობა!

გუშინ თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში დიდძალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შემოზიდეს ორგანიზებულად წყალტუბოს, გეგეჭკორის, ლანჩხუთის, სამტრედიის, დუშეთის, სიღნაღისა და სხვა რაიონების მშრომელებმა.

მოკლედ

□ **ამბროლაურის** რაიონის ხიდიკრის კოლმეურნეობამ არჩევნების წინ შესანიშნავი საჩუქარი მოუმზადა სოფლის მშრომელებს. აიგო ორსართულიანი ადმინისტრაციული შენობა. მასში მოთავსებულია 400-ადგილიანი კლუბი, კოლმეურნეობის კანტორა, სასოფლო საბჭო და ბიბლიოთეკა.

აკ. კერესელიძე.

□ **ჟუთაისი.** (საკ. კორ.). ფილარმონიის საზამთრო თეატრში ამ დღეებში გაიმართა ბათუმის პიონერთა სოლოქო, სახლისა და ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხატვრული თვითმოქმედი კოლექტივების შემოქმედებითი შეხვედრა.

□ **ამ დღეებში** დაბა საჩხერეში გაიხსნა საავჯო და ფეხსაცმლის სპეციალიზებული მაღაზიები, რითაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მომხმარებელთა მომსახურება.

ა. ანასაშვილი.

□ **რუსთავი.** (საკ. კორ.). რუსთავის სახალხო თეატრმა მაყურებელს უჩვენა ო. ლვამბერიას პიესა „განახლებულ მიწაზე". პიესა ასახავს ქალაქ რუსთავის ცხოვრებას.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა გ. ომმაძემ, მუსიკა დაწერა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ შ. ჩარიანაშვილმა, მხატვრულად გაფორმა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ასკურავამ.

გ. ი. მოსიაშვილი — ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს მეგალეობის, მეცენაზეობისა და მედეგნეობის ინსტიტუტის მიკრობიოლოგიის ლაბორატორიის გამგემ, ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატ მ. გულო ივანეს-ძე მოსიაშვილმა სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური განყოფილების სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„საქართველოს საფუარა ფლორა და მისი როლი მედეგნეობაში".

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა გულო ივანეს-ძე მოსიაშვილისათვის ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

ჯიაფვილმი — უცხო ენის სახელმძღვანელო

თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში გამოყენებულია სწავლების სხვადასხვა მეთოდები — ლაბორატორიული მეცადინეობა, როცა სტუდენტები მაგნეტოფონებისა და მოსასმენი აპარატურის საშუალებით ეუფლებიან დახვეწილ მეტყველებას, კინომასალა...

ინსტიტუტის პედაგოგმა ე. კირილოვამ, რომელიც საღამოს განყოფილებაზე ასწავლის ინგლისურ ენას, ზეპირი მეტყველების განვითარებისათვის I და IV კურსებზე ფართოდ გამოიყენა დიაფილმები. ფილმების სცენარისათვის მან შეარჩია სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული მასალა — „ოჯახი", „ბინა", „დრო" და სხვ. კინოფილმების შექმნაში ინსტიტუტს დახმარება გაუწიეს თბილისის კინოსტუდიის მუშაკებმა, რომლებიც ინსტიტუტში საღამოს განყოფილებაზე სწავლობდნენ.

აუდიტორიაში მეცადინეობის დროს ე. კირილოვა სტუდენტებს უჩვენებს ფილმებს, სადიქტორო ტექსტს კი თვითონ კითხულობს. ხედვითი მასალა ეხმარება მსმენელს უფრო ადვილად შეითვისოს სიტყვა და მისი გრამატიკული წყობა.

— ასეთი მეთოდით სწავლებას საღამოს განყოფილებაზე, — აღნიშნა ჩვენი გაზეთის კორესპონდენტთან საუბარშიე. კირილოვამ, — ის დადებითი შედეგი მოაქვს, რომ მსმენელი, რომელიც ჩვენთან უკვე დაღლილი მოდის, ადვილად ითვისებს სასწავლო მასალას. აქ ვეხმარებით მას ზეპირი მეტყველების გამომუშავებაში, ტექსტებზე კი შინ მეცადინეობს. კინოფილმებით სწავლებამ უკვე შესანიშნავი შედეგები მოგვცა. მალე ჩვენი დიაფილმების რიცხვს გავამრავლებთ. ინგლისური ენის კათედრასთან შექმნილი სტუდენტ კინომოყვარულთა წრე ამჟამად იღებს სასწავლო კინოფილმს სტუდენტობის ცხოვრებიდან.

ამ დღეებში მოსკოვის ე. ი. ლენინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში გამართულ უმაღლესი სასწავლებლების მეხუთე კონფერენციაზე, რომელიც უცხო ენების სწავლების მეთოდიკის საკითხებს განიხილავდა, თბილისელმა პედაგოგმა ე. კირილოვამ წაიკითხა მოხსენება თავისი მუშაობის პრაქტიკიდან.

კონფერენციას ესწრებოდნენ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქისა და რესპუბლიკების უმაღლესი სასწავლებლების პედაგოგები. ბევრმა მოიწონა სწავლების ეს მეთოდი და სურვილი გამოთქვა მიიღოს ამ ფილმების პირები.

„აგიტატორის გლოკნოტი" № 5

გამოვიდა ჟურნალ „აგიტატორის ბლოკნოტის" მორიგი, მეხუთე ნომერი. ჟურნალში დაბეჭდილია: **ბ. გოცირიძე** — ვიბრძვით ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და განხორციელებისათვის; **ნ. ყორიაშვილი** — ყუბანელთა თაოსნობას ვუპასუხებთ ახალი რეზერვების ამოქმედებით; **ნ. ჭავჭანიძე, ზ. დიაკონიძე** — აგიტატორმეყალიბე — დეპუტატობის კანდიდატი; **ზ. მოჟაროვსკი** — მართალი სიტყვით ამმრჩევლებთან; **ი. ავაზაშვილი** — მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი კომუნიზმის მშენებლობის პერიოდში; **მ. ვარდოსანიძე** — საამქროს წარმატებები აგიტატორთა წვლილიც არის; **გ. ლუარსაბიშვილი** — მეცხოველეობას — მტაცე საკვები ბაზა; **გ. თევზაძე** — „ჩემი" და „ჩვენი" და სხვ.

დედიკოს საჩუქარი.
ფოტოტიტული შ. ჩხეტიანისა.

მეშახტეები კურორტებზე

ტყიბული. (საკ. კორ.). გასულ წელს ჩვენი ქვეყნის სანატორიუმებში დაისვენა სამასმა მეშახტემ, ხოლო დასასვენებელ სახლებში 358 მეშახტემ. ქვანახშირის მონგრევის ბევრ ნოვატორს საგზური უფასოდ მიეცა. მეშახტეები მკურნალობენ და ისვენებენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო კურორტებზე. პროფკავშირებმა უკვე გასცეს სანატორიუმის 68, ხოლო დასასვენებელი სახლის 57 საგზური. დასაცლეთის შახტის კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირმა ა. ხვადაგიანმა შვებულება გაატარა წყალტუბოში. ამავე შახტის მემანქანემ ა. ვარდოსანიძემ კი ესენტუკში. ლენინის სახელობის შახტის გამყვანმა გ. ფხაკაძემ იმკურნალა გაგრაში, ნათურის გამწყობმა ა. დვალმა — მწვანე კონცხზე. სანატორიუმებში გაიკაუეს ჯანმრთელობა აგრეთვე მებიგე ლ. გაბელაშვილმა, მნგრეველმა დ. გაბრიაძემ და სხვ.

ბედნიერი დედა

ყველას თავისებურად ეწვია ახალი, 1953 წლის სიხარული. განსაკუთრებულად ელოდნენ ახალ წელს ნოდარ კირტავას ოჯახში.

მათი საახალწლო სიხარული ქობა უნდა ყოფილიყო! ელოდა ფოთო თირქია შვილს... მესამე შვილის მამა უნდა გამხდარიყო ნოდარი... და ან ძმა უნდა შეამატებოდათ პატარა ჯემალს და მადონას...

სიხარული უზომოც იყო, მოულოდნელიც და განსაკუთრებულიც. ერთის მაგიერ... სამი! სამი შვილი ერთად!

სამი შვილის ნაცვლად ხუთი შვილის მამა გახდა ნოდარი! დაც შეემატა და ძმებიც ჯემალს და მადონას. ეს იყო ახალი წლის წინა დღით, 31 დეკემბერს.

ტარიელი, ავთანდილი და თინათინი დაარქვეს პატარებს.

სამ აკვანს ერთად არწევს დედა.

ხუთი შვილის დედაა ახალგაზრდა, 28 წლის ქალი. ამავე დროს მოწინავე მუშის სახელს ატარებს.

მეოთხე წელია ფოთო აკაკის ასული თირქია ფოთის წისქვილკომბინატის იმ საამქროში მუშაობს, სადაც ხორცლის გაწმენდა-გარეცხვა წარმოებს. იგი ყურადღებით და ბეჯითად ეკიდება თავის სამუშაოს. ამიტომაც აფასებენ, პატივს სცემენ მას.

ზღვისპირა ქალაქში რომ ლამაზი სახლებია, მათ შეღებვაში ნოდარ კირტავას ხელიც ურევია. დადის და ღებავს ქვის შენობებს თავის ბრიგადის წევრებთან ერთად.

რ. ჩხარტიშვილი.

სურათზე: ფ. თირქია თავის ტუუპებთან.

ეხმარებიან ინდივიდუალურ მენათმშენებლებს

ზუგდიდი. (საკ. კორ.). თითქმის ყველა სოფელში ნახავთ ახლად-აგებულ ერთ და ორსართულიან ოდა-სახლებს. ბევრი კი მშენებლობის პროცესშია. კოლმეურნეებს ინდივიდუალურ მენათმშენებლობაში დიდ დახმარებას უწევენ სასოფლო-სამეურნეო არტელები. მენათმშენებლებს ეძლევათ გრძელვადიანი კრედიტი, ეხმარებიან აგრეთვე საშენი მასალებით — ხე-ტყით, კირით, ცემენტით...

სოფელ ნაიფუში 50-მდე კოლმეურნე იშენებს ახალ სახლს. კოლმეურნეობის გამგეობამ ინდივიდუალურ მენათმშენებლებს გ. ჭანიას, მ. მოლაშხიას, ლ. ლუკავას, გ. აბულაძეს და სხვებს სამასიდან ხუთას მანეთამდე გრძელვადიანი სესხი მისცა.

ბოკეის „პრემიერა"

გუშინ სტოკჰოლმში საზეიმოდ გაიხსნა ევროპისა და მსოფლიოს პირველობის გათამაშება შაიბიან ჰოკეში. ეს არის წარმტაცი „პრემიერა", რომელსაც დიდი ხანია განსაკუთრებული ინტერესით მოელოდა სპორტული სამყარო.

პირველი მატჩი ჩვენი ქვეყნის ნაკრებს ჰქონდა ფინელ ჰოკეისტებთან. საბჭოთა სპორტსმენებმა აჩვენეს ტემპიანი და მაღალტექნიკური ბრძოლა და გიმარჯვეს ანგარიშით 6:1.

ჩეხოსლოვაკიისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდების შეხვედრაში გაიმარჯვეს ჩეხოსლოვაკიელებმა 10:1.

დღეს სსრ კავშირის გუნდი შეხვდება მასპინძლებს — შვეიცარიის ნაკრებს.

მატჩი ვიეტნამელებთან

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში შედგა ვიეტნამისა და ჩვენი რესპუბლიკის მაგიდის ჩოგბურთელთა საერთაშორისო მატჩი. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა ასპარეზობაში გაიმარჯვეს საქართველოს სპორტსმენებმა ანგარიშით 3:0, 6:2.

ქალების სადღეგრძელო

• ფელეტონი •

ნელიწყალის დღეთა კრიალოსანში არის ერთი, ყველა დანარჩენი 364 დღისაგან განსხვავებული დღე — 8 მარტი, დედების, დების, ცოლების და საცოლეების დღესასწაული.

გუშმარჯოს რვა მარტს, გავიძახი მე და ყოველ რვა მარტს მაღალი ჭიქით ხელში რომელიმე ჩემი მეგობრის ცოლის ნახლავ თხელ-თხელ ხაჭაპურებს ვასხამ ხოტბას.

...იმ რვა მარტს სერგოს, ჩვენი ოქრო სერიოჟას, ოჯახში გახლდით.

ჩვენი ქალებისთვის საჩუქრები გვქონდა საყიდელი, წვერი გასაპარსი და... ცოტა ადრე წამოვედით სამსახურიდან.

სერგომ თავის მდივან ქალს დაუბარა: მე გამომიძახეს... საქმეზე მივდივარ, შენ ფეხი არ მოიცალო აქედანო.

მე ჩემს ინსპექტორს ელიკოს ეუთხარი ჩემს კაბინეტში გადაეტანა სამუშაო და, თუ ტელეფონზე დარეკავდა ვინმე, პასუხი გაეცა...

გამოვედით და მაღაზიებს ჩამოვუარეთ ქალებთან ხელცარიელი ხომ ვერ მიხვალ. არც მე, არც სერგოს არ გვიყვარს, კაცს რომ ქალის პატივისცემა არა აქვს.

ბედი უნდა ყველაფერს. ხანდახან დილადანვე დაინავსება კაცი და მთელი დღე უკუღმა მიდის მისი საქმე.

ტაქსის გაჩერებაზე ვიღაც ბავშვიანმა ქალმა გაგვლანძღა, ჩემი რიგია და თქვენ სად ეტენებითო.

საჩუქრების მაღაზიაში ტევა არ იყო. ერთმა ქალმა ლამის თავზე გადამაბიჯა. არც ის გავუშვი წინ, მაგრამ არც იმან მომცა მოსვენება. ნემსივით ქუს�d რომ ჩამარჭო ფეხში, ჩემმა კიკილმა საწყობის გამგე ამოიყვანა სარდაფიდან.

გამყიდველმა, ერთმა გამხმარმა ქალმა, სულ გამოგვიყვანა ოოომინებიდან.

— ქალო.. შენ... რა ღირს ეს „დუხების" კომპლექტი! — ვეუბნები ქართულად.

ის მიბრუნებულა და ვიღაც ქალს გულმოდგინედ ახვევს შალს.

— ქალო, შენ!... — ავუწიე ხმას. მაგრამ შენც არ მომიკვდე.

სერგოსაც აეშალა ნერვები და საუბარში ჩამოერია:

— არ გესმის, ქალო, შე უპატრონო?.. არც მაშინ ამოიღო გამყიდველმა ხმა და რაღაცის გახვევა დაიწყო. ისე შემოგვხედა, ალბათ ეგონა, მიწა გაგვისკდებოდა.

— უნდა აიღო ახლა ეს ქალი და შუაზე გაგლეჯო! — გამოგვექომაგა ერთი ღვთისნიერი კაცი.

— ჯერ ზრდილობის მაღაზიაში შეიარეთ! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ქალმა.

— დაიტე ყალობნიუ კნიგუ! — იყვირა სერგომ და მუშტი დაჰკრა დახლს.

—რატომ ცხარობთ, ბატონო? — ისევ მშვიდად თქვა გამყიდველმა.

— ვცხარობ კი არა... გაგაქრობ!.. — აყვირდა ჩემი მეგობარი.

— ჩვენ „დუხი" გვინდა, მაგრამ შენი „დუხი" არ იქნეს ამ მაღაზიაში! — თითი ზედ ცხვირთან მივუტანე გამყიდველს და დირექტორის ოთახში შევცვივდით.

შევცვივდით, და აქაც ქალი დაგვხვდა. აუღია ტელეფონის ყურმილი და შიგ ჩასჩურჩულებს:

— გმადლობთ, შვილო, გმადლობთ... დედა გენაცვალოს, შენთვისაც მომილოცავს!..

— რას ბგავს ეს, ამხანაგო, რას?.. შენ აქ დირექტორი ხარ თუ რა ხარ!..

— დირექტორმა ყურმილი დადო და მშვიდად გვითხრა:

— რატომ ყვირით, ამხანაგო?

— იმას რა ვუთხარი, ვინც შენ დირექტორად დაგსვა!.. — ვეღარ მოვითმინე მე.

„ხაჩივრის წიგნში" ჩაწერეთ რაც ეკადრებოდათ, დირექტორიც კარგად გამოვლანძღეთ, კარი გამოვირახუნეთ და გარეთ გამოვედით.

ახლა ტკბილეულის საყიდლად შევედით საშაქარლამოში და ამ გულზე გასივებულ ხალხს ეცინცლზე ნავთი დაგვასხეს.

საშაქარლამო ქალებით იყო სავსე.

— გვეცით ორ კაცს პატივი და გაგვიშვით ურიგოდ! — რაღაც ხუმრობის მაგვარი ვცადე მე.

ხერგომ მოინდომა ჩემი წინადადების ხორცშესხმა და ორი თითით ათმანეთიანი გადააწოდა გამყიდველს. აკოცლდნენ ქალები, მაგრამ არ იკითხავ როგორ?

— არ გაბედოთ!..

— გაწყდა კაცების სინსილა!

— კაცებია ესენი?..

ერთ წუთში ითქვა უამრავი სალანძღავი სიტყვა და როცა ყველამ ერთად ჩაისუნთქა და წამით სიჩუმე დადგა, გაისმა გამყიდველი ქალის ხმა:

— ნუ გვაცდენთ, ბატონო!..

ჩვენ ისედაც ნერვებაშლილები ვიყავით და ეს „გვინდოდა?

— რა არის ეს, ქალს მაინც მგავდეს!..

— წამოიყვარა სერგომ.

— ნუ ხულიგნობთ... თორემ მილიციას გამოვუძახებთ! — გვითხრა ერთმა ქალმა, რომელმაც, რა თქმა უნდა, პასუხიც საკადრისი მიიღო.

როგორც იქნა ტორტიც ვიყიდეთ და სპარიკმახეროში შევცვივდით.

— ჩეკი აიღეთ! — გვითხრა მოლარემ.

— ენა ჩაიწუვიტე!.. — უცბად ისე იღრიალა სერგომ, რომ მე ტორტი გამივარდა ხელიდან.

მოლარემ იკივლა, პარიკმახერები გამოცვივდნენ და შეიქნა ერთი „გამიშვი და გაგიშობ".

...ტაქსი ვერ ვიშოვნეთ და ტროლეიბუსში ავედით, კონდუქტორის აღგილზე სერგო მოცელილივით დავარდა.

კონდუქტორმა ქალმა იძახა შორიდან: ბილეთები... ბილეთები... და ბოლოს ჩვენამდეც მოაღწია.

— უკაცრავად, ბატონო, ჩემი ადგილი გამითავისუფლეთ! — უთხრა მან სერგოს.

— დაღლილი ვარ, გენაცვალე, მეორე გაჩერებაზე ჩავდივართ, — უპასუხა სერგომ.

— ნუ მეხუმრებით... მე ვმუშაობ!

— მუშაობ, მე შენ გეტყვი, პირამდებს აშენებ... ან ყველას ხურდას უბრუნებ?.. — შევუტიე მე.

კონდუქტორმა ხელი ჩაიქნია, თორემ ვინ იცის რითი გათავდებოდა ეს საქმე. ბოლოს, როგორც იქნა, სახლს მივაღწიეთ.

— ოოო!.. ქალბატონო ეთერ, მოგვილოცავს, მოგვილოცავს! — შორიდან დავიწყე მე და ყირაფვით წავლუნე კისერი ხელზე საკოცნელად.

ჩვენც მივედით და სტუმრებიც მოვიდნენ. უმეტესად სერგოს ამხანაგები. მხოლოდ ჩვენმა მთავარმა ინჟინერმა მოიყვანა ცოლი. მე, მართალი გითხრათ, მეზარება კაცი რომ ცოლს აიკიდებს და ისე წავა პურმარილში, მაგრამ მე მაინც კარგა მგრძნობიარე სადღეგრძელო ვუთხარი მთავარი ინჟინრის მეუღლეს — ლაურას.

ქეიფი რომ შეხურდა, გაიღო კარი და, რას ვხედავო, ვახტანგი, ოთარი და ნოდარი კარგა შეზარხოშებულნი შემოგვესწრნენ პურმარილზე.

მივიწიეთ, მოვიწიეთ, და... მადლობა ღმერთს, თვითონ მიხვდა ლაურა, რომ ზედმეტი იყო სუფრაზე და წამოდგა. მე სამზარეულოში გავალ, დიასახლისს მოვეხმარებიო.

ჩვენ მოსულებს შემოსასწრების ნაცვლად 8 მარტის სადღეგრძელო დავალევინეთ, სამადლობელოს საოქმელად ქალები გამოვიყვანეთ სამზარეულოდან და ძალით მათაც თითო ჭიქა დავაცალევინეთ.

დიდებული დრო ვატარეთ. შუაღამე იყო, რომ წამოვედი. სერგოს თითქმის მაგიდაზე ეძინა.

დიასახლისს კი თურმე დილამდე არ მოუხუჭავს თვალი.

დიდებული ცოლი ჰყავს სერგოს. სანამ არ დარეცხა ჭურჭელი, სანამ არ აალაგა, დაგავა, მიასუფთავა ყველაფერი, არ დაწოლილა. ცოლი კარგი ჰყავს სერგოს, მაგრამ თვითონაც კარგი ვაუკაცია, ძმაო ამა ერთი გაიღვიძოს და სუფთა არ დახვდეს პერანგი, ან შარვალი იყოს გაუუთოებელი ან ფეხსაცმელი გაუწმენდავი...

მეორე დღეს ადერგო სამსახურში გაწკრიალებული მოვიდა. მდივან ქალს „ბორჯომი" მოატანინა და მთელი დღე არავინ მიიღო.

მოკლედ, ჩვენ ძალიან გვიყვარს ქალთა დღესასწაული და საერთოდ ძალიან გვიყვარს კაცები, რომლებმაც იციან ქალების პატივისცემა და ყურადღებას არ აკლებენ მათ, — ჩვენი სიცოცხლის სილამაზეს...

რ. დვალიშვილი.

ხუმრობა

7 მარტს...

8 მარტს...

ნახ. გ. ფირცხალავასი.

ბოლო ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულთბილი გაცილება

სამტრედია. (საკ. კორ.). აქაური რკინიგზელები დიდად აფასებენ თავიანთ კოლეგას ლ. ცანავას, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნეა რკინიგზის სისტემაში მუშაობს სხვადასხვა პასუხსაგებ პოსტზე.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშაკებმა ამ დღეებში საზეიმო გაცილება მოუწყეს პენსიაზე გასულ ლ. ცანავას. გაცილებისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე სიტყვებით გამოსულმა ამხანაგებმა ლ. ვარდოსანიძემ (რკინიგზის სამტრედიის განყოფილების მუშაკთა კავშირის მდივანი), ს. ქუმსიაშვილმა (პარტორგანიზაციის მდივანი), რკინიგზის მუშაკებმა მ. ადამიამ, ქ. კიკაბაძემ, გ. სოსელიამ და სხვებმა გულთბილად ილაპარაკეს ლ. ცანავას მრავალი წლის უანგარო შრომაზე.

სპორტი

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიდერმა წაიბორძიკა

საქართველოს ჩემპიონი ბ. გურგენიძე უკვე რამდენიმე წელია, რაც რესპუბლიკურ შეჯიბრებაში არ დამარცხებულა. მაგრამ მისი მეათე ტურის შეხვედრა ვ. ბერაძესთან ლიდერისათვის მარცხიანად წარიმართა. შუა თამაშში ოსტატმა შეცდომა დაუშვა, რითაც კარგად ისარგებლეს შავებმა და ორი ფიგურა მოიგეს ეტლში. შემდეგში ბ. გურგენიძემ ვერ მოახერხა მდგომარეობის გამოსწორება და დანებდა. თ. ლომაიამ არაზუსტად გაითამაშა დასაწყისი ჰ. არნშტეინთან და მალე მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. არნშტეინი ბოლომდე კარგად თამაშობდა და გაიმარჯვა. ა. ბუსლაევი და ა. კირვალიძე ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. ესპანურ პარტიაში შავებით გ. კალატოზიშვილმა ჯერ კარგად გაართვა თავი სიძნელეებს, მაგრამ შემდეგ უხეში შეცდომა დაუშვა ნონა გაფრინდაშვილთან. მსოფლიოს ჩემპიონმა გაამარტივა თამაში და მოიგო ორი პაიკი. გადადებული პარტიის დამთავრებისას ბრძოლა ახალი ძალით უნდა გაჩაღდეს. ორიგინალური პოზიცია შეიქმნა მ. შიშოვ - თ. კიკიანის შეხვედრაში. თ. კიკიანმა დათმო ლაზიერი, მაგრამ მის სანაცვლოდ ჰყავს ეტლი, მხედარი და ოთხი პაიკი.

ათი ტურის შემდეგ არცერთი მონაწილე ალარ დარჩენილა დაუმარცხებელი. ახლა ბ. გურგენიძეს 9 შესაძლებლიდან 7,5 ქულა აქვს და ინარჩუნებს ლიდერობას. 9 თამაშიდან 7-7 ქულით ლიდერს კვალდაკვალ მიჰყვებიან მ. შიშოვი და გ. კალატოზიშვილი. 5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს ნონა გაფრინდაშვილს.

ბ. გამრეკელი.

ჩემპიონატი რამდენიმე სტრიქონით

□ „ა" კლასის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების ზამთრის საკავშირო ტურნირის უკანასკნელი შეხვედრები ხასიათდება ზოგიერთი სიურპრიზებით, მაგრამ ამას ლიდერთა ჯგუფის მდგომარეობაზე თვალსაჩინო გავლენა არ მოუხდენია. გათამაშების ცხრილის სათავეში კვლავ კიევის სკა იმყოფება, რომელსაც 9 ქულა აქვს. უკანასკნელი მატჩი უკრაინელებმა მოიგეს ლენინგრადის „სპარტაკთან" 65 : 61. მეორე ადგილზეა კიევის „სტროიტელი" (7 ქულა), მესამეზე — თბილისის „დინამო" (6 ქულა).

□ სსრ კავშირის ხელბურთის ფედერაციამ დაამტკიცა ჩვენი ქვეყნის 21 უძლიერესი ხელბურთელის სია. ამ სიაში შევიდნენ თბილისის „ბურევესტნიკის", მოსკოვის „ტრუდის", კიევის „ბურევესტნიკის", კუნასის „ატლეტასის", ბაქოს „დინამოსა" და სხვა საზოგადოებათა წარმომადგენლები. თბილისის „ბურევესტნიკიდან" უძლიერესთა რიგებში არიან ჯ. აბაიშვილი, თ. ანთაძე, ჯ. ცერცვაძე, ი. ფხაკაძე, ლ. კარტოზია.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

8 მარტი

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, ისანი, საქართველო (წითელი და მწვანე დარბაზი), პლეხანოვის სახელობის კლუბი, კიროვის სახელობის პარკი — ახალი მექსიკური ფილმების კვირეული, სპარტაკი, კოლხიდა, ჭავჭავაძის სახელობის კლუბი, ყაზბეგი (პირველი დარბაზი), კომუნარების ბაღი, კოსმოსი — ბავშვი სახლში, თბილისი, 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი), გაზაფხული, ნაკადული — ეშმაკის მახე, კომკავშირელი — სამი მუშკეტერი (I სერია), 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — ჰუსარული ბალადა, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კოლმეურნე, ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — ბარობი მეუნაუზენი, ოფიცერთა სახლი — კაროლინა რიეკალი, დიდუბე — ახალი დელი (I-II სერია), თანამგზავრი — გიორგი საკაძე (I-II სერია).



8 მარტი

18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — პატარების კონცერტი დედებისათვის, 18.35 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.30 — სატელევიზიო ჟურნალი ქალებისათვის „იაფარა", 20.25 — კინოჟურნალი „საბჭოთა საქართველო" № 4, 20.35 — კონცერტი ქალებისათვის, 21.05 — კინონარკვევი „იცნობდეთ. — კორტინგი", 21.15 — ახალი ამბები, 21.30 — მხატვრული ფილმი „ევდოკია" (ქართული ვარიანტი).



8 მარტი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — ბოჰემა (მე-17 აბონ. მე-7 სპექტაკლი), **რუსთაველის** სახელობის — თანამედროვე ტრაგედია (მე-18 აბონ. მე-3 სპექტაკლი), **გრიბოედოვის** სახელობის — ხეები ხიდიდან (მე-11 აბონ. მე-6 სპექტაკლი), **ვასო აბაშიძის** სახელობის **მუსიკალური კომედიის** (რკინიგზელთა სახლში) — მზის დაბნელება, **სანკულტურის** — სიყვარულის მსხვერპლი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ტარტიუფი (აბონ. № 28, 4 ს.), ბრაზილიის საუნჯე (აბონ. № 9, 7 ს.), **ცირკი** — გაწვრთნილ ცხოველთა ჯგუფი ვლადიმერ დეროვის ხელმძღვანელობით.

9 მარტი

პირველი პროგრამით

06.40 — ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო პიესები, 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს ბიონერი", 08.30 — მუსიკა საბჭოთა კინოფილმებიდან, 09.10 — ო. თაქთაქიშვილი. კონცერტინო ვიოლინისა და ორკესტრისათვის, 11.15 — რიმსკი-კორსაკოვი. ოპერა „მოცარტი და სალიერი", 12.15 — კონცერტი ა. შავერზაშვილის ნაწარმოებებიდან, 13.40 — ს. პროკოფიევის სონატა ორი ვიოლინისათვის, 17.15 — გადაცემა მოსწავლეთათვის „ნაცარქექია" (ნაწილი პირველი), 18.10 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 18.45 — ლირიკული სიმღერები, 19.30 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „კომკავშირელები", 19.45 — ფრაგმენტები ფარკაშის ბალეტიდან „ეშმაკი სტუდენტები", 20.15 — „ძილისპირული", 20.30 — მსუბუქი მუსიკა, 21.00 — გადაცემა — „ახალგაზრდა ქართველი შემოქმედნი", 21.40 — კონცერტი „შაბათ საღამოს", 23.30 — საცეკვაო მუსიკა.

მეორე პროგრამით

20.30 — საუბარი — „რაზე საუბრობთ ოჯახში საღამოს", 20.45 — ბ. კვერნაძე. საფორტეპიანო პიესები, 21.00 — ა. მაკაროვი. მოთხრობა „შაბათ საღამოს", 21.30 — რადიომიმოხილვა „თბილისის თეატრებსა და საკონცერტო დარბაზებში".

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფ ლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და ხელოვნების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, ილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ЦЦ 05870

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.